ბიზნესიდეების კონკურსი

ბიზნესიდეების კონკურსის ფარგლებში დაინტერესებული აპლიკანტების მხრიდან ბიზნესიდეების/განაცხადების მიღება ხორციელდება ონლაინ რეჟიმში, სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსებულ ელექტრონული ლინკზე რეგისტრაციის გავლით. ბიზნესიდეის განაცხადი შედგება ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტებისგან:

მთავარი იდეა - ბიზნესიდეის მოკლე აღწერა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას წარმოების ან/და სერვისის სახეობის შესახებ. აღნიშნეთ თქვენი ბიზნესის უპირატესობა, ინოვაციურობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და აღწერეთ საწყისი (უკვე არსებული) კაპიტალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მოთხოვნილი გრანტის თანხა - მიუთითეთ პროექტის განხორციელებისათვის მოთხოვნილი საგრანტო თანხა.

გრანტის თანხით შესაძენი აქტივები - აღწერეთ ბიზნესის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ის აქტივი, რომლის შეძენაც დაგეგმილია მოთხოვნილი გრანტის თანხით.

ვადა - მიუთითეთ გრანტის თანხის გახარჯვის სავარაუდო პერიოდი (კვირა).

თანამონაწილეობის თანხა - მიუთითეთ ბიზნესიდეის განხორციელების ფარგლებში თქვენს მიერ დასახარჯი თანხის ოდენობა:

- ახალი ბენეფიციარისთვის - გრანტის თანხის მინიმუმ 20%, ხოლო მაღალმთიან რეგიონში - მინიმუმ 10%;
- არსებული ბენეფიციარისთვის - გრანტის თანხის მინიმუმ 50%, ხოლო მაღალმთიან რეგიონში - მინიმუმ 25%.

თანამონაწილეობის თანხით შესაძენი აქტივები - აღწერეთ ბიზნესის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ის აქტივი/შესასრულებელი სამუშაო რომლის შეძენა/შესრულება დაგეგმილია საკუთარი თანამონაწილეობის თანხით.

ვადა - მიუთითეთ თანამონაწილეობის თანხის გახარჯვის სავარაუდო პერიოდი (კვირა).

სამიზნე ბაზარი - დეტალურად აღწერეთ სად უნდა განხორციელდეს პროდუქციის რეალიზაცია და ვინ იქნება მისი პოტენციური მომხმარებელი.

სავარაუდო შემოსავლები - მიუთითეთ ბიზნესიდეის განხორციელების შემთხვევაში:

- გრანტის თანხის გახარჯვიდან რამდენ თვეში მიიღებთ პირველ შემოსავალს;
- თითოეული პროდუქტის ან/და მომსახურების სავარაუდო შემოსავალი;
- სავარაუდო (წლიური) შემოსავლის ოენობა ლარებში, სეზონურობის გათვალისწინებით.

განმცხადებლის გამოცდილება და ფუნქცია მოვალეობები პროექტში - აღწერეთ ის უნარები, კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება რაც გაგაჩნიათ. ასევე, მიუთითეთ თქვენი ფუნქცია-მოვალეობა ბიზნესში.